HEIDELBERGCEMENT
GEORGIA

ინდივიდუალური დაცვის საშუალებების შერჩევა, მოვლა და გამოყენება

მოქმედების სფერო	ყველა სამუშაო ობიექტი
თარიღი	02/09/2014
განახლება	11/2019, 08/2020
დამტკიცებულია	ოლივერ პაჩი (ადმინისტრაციული დირექტორი)
შეთანხმებულია	ეკატერინე ვაშაკიძე (HR/H&S დირექტორი)
შედგენილია	გიორგი კობახიძე H&S კოორდინატორი
ვერსია	03

სარჩევი

1. შესავალი 3
2. მოქმედების სფერო 3
3. მინიმალური მოთხოვნები ინდივიდუალური დაცვის საშვალებების გამოყენებაზე 3
4. ინდივიდუალური დაცვის საშუალებები 3
5. თავის დაცვა 4
6. სახისა და მხედველობის დაცვა 4
7. მხედველობის დაცვა დაცვა 5
8. ხელის დაცვა 6
9. სასუნთქი გზების დაცვა 7
10. ფეხის დაცვა 8
11. მთლიანი სხეულის დაცვა 9
12. ვარდნისაგან დამცავი საშუალებები 12
13. სმენის დაცვა 13
14. ინდივიდუალური დაცვის საშუალებების შესყიდვა 14
15. პასუხისმგებლობები 14

1. შესავალი

წინამდებარე პროცედურა განკუთვნილია, კომპანია ჰაიდელბერგცემენტის მიერ საქართველოში რეგისტრირებული ორგანიზაციებისათვის (შემდგომში კომპანია) და რომელიც განსაზღვრავს ინდივიდუალური დაცვის საშუალებების სამუშაოსათვის შერჩევის, გამოყენებისა და შემდგომი მოვლის წესებს.

2. მოქმედების სფერო

წინამდებარე პროცედურა ვრცელდება კომპანიის ყველა სამუშაო ობიექტზე და ის სავალდებულოა როგორც კომპანიის თანამშრომლებისათვის, ასვე კონტრაქტორებისათვის, ქვეკონტრაქტორებისათვის, ვიზიტორებისა და ყველა იმ პირისათვის, რომელიც შედის, გადაადგილდება ან რაიმე სამუშაოს ასრულებს კომპანიის სამუშაო ობიექტზე.

3. მინიმალური მოთხოვნები ინდივიდუალური დაცვის საშვალებების გამოყენებაზე

კომპანიის ტერიტორიაზე შესვლა და გადაადგილებისას სავალდებულოა გამოყენებული იქნას შემდეგი სახის ინდ. დაცვის საშუალებები:

- სპეც. ჩაფხუტი;
- სპეც ფეხსაცმელი;
- სპეც სათვალე
- მაღალი გარჩევადობის სპეც ტანსაცმელი ან მაღალი გარჩევადობის ჟილეტი. (დიფერენციაცია მოცემულია თავში 11)

არსებული წესი არ ვრცელდება სამუშაო ობიეტზე არსებულ იმ ტერიტორიებზე, რომლებიც წინასწარ არიან განსაზღვრული ე.წ. მწვანე ზონებად (ადგილები სადაც ინდ. დაცვის გამოყენება სავალდებულო არ არის).

4. ინდივიდუალური დაცვის საშუალებები

ინდივიდუალური დაცვის საშუალება, წარმოადგენს საფრთხის პრევენციას, თუმცაღა ის არ უნდა იყოს განხილული როგორც საფრთხის სრული პრევენციის საშუალება. კომპანიაში გამოიყენება შემდეგი სახის ინდ დაცვის საშუალებები:

- თავის დაცვის საშუალებები;
- ხელის დაცვის საშუალებები;
- სახისა და მხედველობის დაცვის საშუალებები;
- სასუნთქი გზების დამცავი საშუალებები;
- ვარდნისაგან დამცავი საშუალებები;
- მთლიანი სხეულის დამცავი საშუალებები.

5. თავის დაცვა

ჩაფხუტის ტარება სავალდებულოა კომპანიის სამუშაო ტერიტორიაზე შესვლისთანავე, გარდა იმ გამონაკლისისა, რომელიც ასახულია მე3 პუნქტში. ჩაფხუტი უნდა აკმაყოფილებდეს EN-397 სტანდარტის მოთხოვნას. ჩაფხუტზე გამოყენებული უნდა იყოს მხოლოდ და მხოლოდ მწარმოებლის მიერ რეკომენდირებული აქსესუარები. დაუშვებელია ჩაფხუტის გადაკეთება (გარკვეული ნაწილების ჩამოჭრა), გახვრეტა, შეღებვა და ა.შ. რაც ასუსტებს მის მდგრადობას.

სამუშაო პოზიციების მიხედვით განისაზღვრება ასევე ჩაფხუტების ფერი. კერძოდ:

- მენეჯმენტი- თეთრი ფერის ჩაფხუტი;
- მუშა პერსონალი-მწვანე ფერის ჩაფხუტი
- კონტრაქტორები-ყვითელი ფერის ჩაფხუტი;
- დაცვის სამსახური და სახანძრო ზედამხედველები- წითელი ფერის ჩაფხუტი

სამუშაო ცვლის დასრულების შემდგომ სავალდებულოა ჩაფხუტი გაიწმინდოს ან დაირეცხოს გრილი წყლით.

ჩაფხუტის შეცვლა უნდა მოხდეს მწარმოებლის მიერ მოწოდებული ვადების გათვალისწინებით ან მისი დაზიანების შედეგად.

6. სახისა და მხედველობის დაცვა

მთლიანი სახის ფარი

მთლიანი სახის ფარის გამოყენებული უნდა იყოს ისეთი სახის სამუშაოების შესრულებისას სადაც არსებობს ნაპერწკლის, სხვადასხვა სახის მყარი ან მდნარი ლითონის ნაწილაკის, ქიმიური ნივთიერებების ან სხვა რაიმე სახის გამოტყორცნილი ნაწილაკებისაგან თვალებისა და სახის დასაცავად.

მხედველობისა და სახის დამცავი ფარი. გამოიყენება შედუღებისას

მხედველობისა და სახის დამცავი ფარი. გამოიყენება: • ქიმიურ რეაქტივებთან • ლაბორატორიებში (ცემენტი/ბეტონი) • ცივი ჭრისას, სადაც არსებობს ნაპერწკალის საფრთხე • ნებისმიერი სამუშაო, სადაც არსებობს გამოტყორცნილი ნაწილაკების საშიშროება და სახისა და თვალების დაზიანების ალბათობა

7. მხედველობის დაცვა დაცვა

მხედველობის დაცვისათვის კომპანიაში გამოიყენება შემდეგი სახის სპეც სათვალეები:

- ნაწილობრივ დახურული სპეც. სათვალე (ფერები-თეთრი, ყვითელი, შავი);
- დახურული სპეც. სათვალე (ე.წ. Safety Goggles)

სპეც სათვალე უნდა აკმაყოფილებდეს EN-166 და EN-166-1B-349 სტანდარტს.

სპეც სათვალეები და სახის დამცავი ფარები გამოყენების შემდეგ უნდა იყოს გამდინარე წყლით გარეცხილი. დაუშვებელია მისი გაწმენდა უხეშზედაპირიანი ნაჭრებით.

სპეც სათვალეებისა და სახის ფარების შეცვლა უნდა მოხდეს მათი დაზიანების შემთხვევაში.

8. ხელის დაცვა

სპეც. ხელთათმანი შერჩეული უნდა იყოს სამუშაოს სპეციფიკისა და მასთან დაკავშირებული საფრთხეების გათვალისწინებით. ყოველივე ამის გათვალისწინებით სპეც ხელთათმანები შერჩეული უნდა იყოს შემდეგი შემდეგი საფრთხის შემცველი სამუშაოებიდან გამომდინარე:

- ხელის მოწეწკვის საფრთხე;
- ხელის გაჭრის საფრთხე;
- ხელის დამწვრობის საფრთხე;
- სამუშაო რომელიც მოითხოვს სიზუსტეს და გარკვეულ დეტალებთან მუშაობას.
- ელეტრო ენერგიის საფრთხე
- ქიმიური საფრთხე

ხელთათმანი მინიმუმი რისკების პრევენციისათვის, ისეთი როგორიცაა დაჟეჟილობა, გაჭრა და ა.შ. უნდა აკმაყოფილებდეს სტანდარტის EN- 420, 2007

სამუშაო რომელიც ითვალისწინებს **ელექტრო შედუღებას** და აირ ჭრას გამოყენებული უნდა იყოს ხელთათმანები, რომელებიც აკმაყოფილებენ EN -407, 2004.სტანდარტის მოთხოვნებს

დიელექტრული ხელთათმანები უნდა აკმაყოფილებდეს EN-50237, 2000 სტანდარტის მოთხოვნებს

ქიმიური ხელთათმანები, უნდა აკმაყოფილებდეს EN 374, 2003 სტანდარტის მოთხოვნებს.

EN- 420, 2007

EN -407, 2004

EN-50237, 2000

EN 374, 2003

ხელთათმანების შეცვლა უნდა მოხდეს მათი დაზიანებისას. რაც შეეხება დიელექტრულ ხელთათმანებს მათი შესცვლა და ტესტირება უნდა მოხდეს მწარმოებლის მიერ მოცემულ ვადებში, ასევე დაზიანების შემთხვევაში.

9. სასუნთქი გზების დაცვა

სასუნთქი გზების დასაცავად გამოიყენებული უნდა იყოს შემდეგი სახის საშუალებები:

- მტვრისაგან დამცავი ერთჯერადი მოხმარების რესპირატორი;
- ნახევარ სახის რესპირატორი;
- მთლიანი სახის რესპირატორი.

მტვრისაგან დამცავი საშუელებები შერჩეული უნდა იყოს ჰაერში მავნე ნივთიერებების კონცენტრაციისა და სამუშაოს სპეციფიკის გათვალისწინებით

მტვრისგან დამცავი ერთჯერადი რესპირატორი უნდა აკმაყოფილებდეს EN-149 2001 სტანდარტის მოთხოვნებს (FFP1, FFP2, FFP3)

ნახევარ სახის რესპირატორი უნდა აკმაყოფილებდეს CE-0121, EN-140 2004, EN-143 2000 სტანდარტების მოთხოვნებს

მთლიანი სახის რესპირატორი უნდა აკმაყოფილებდეს EN-136, EN-12946 სტანდარტების მოთხოვნებს

კლასი	ფილტრის შეღწევადობის ლიმიტი	შიდა შეღწევადობა
FFP1	ნაწილაკების 80% იანი შეკავება	<22% შეღწევადობა
FFP2	ნაწილაკების 94% ინი შეკავება	<8% შეღწევადობა
FFP3	ნაწილაკების 99% იანი შეკავება	<2% შეღწევადობა

ერთჯერადი რესპირატორისა და ფილტრების კლასი (FFP1, FFP2, FFP3) შერჩეული უნდა იყოს კონკრეტულ ადგილზე მტვერის კონცენტრაციის განსაზღვრის შემდგომ.

ერთჯერადი რესპირატორის შეცვლა უნდა მოხდეს შემდეგი გარემოებების გათვალისწინებით:

- რესპირატორის დაბინძურების შემთხვევაში;
- სუნთქვის გაძნელების შემთხვევაში;
- რესპირატორის დაზიანებს შემთხვევაში;
- სამუშაო ცვლის დასრულებისას.

ნახევარი და სრული სახის რეპირატორების ფილტრები უნდა შეიცვალოს:

- ფილტრის დაბინძურების შემთხვევაში;
- სუნთქვის გაძნელების შემთხევავში;
- ფილტრის დაზიანების შემთხვევაში.

ნახევარი და მთლიანი სახის რესპირატორი უნდა გაიწმინდოს სამუშაოს დასრულების შემდგომ. კერძოდ სამუშაოს დასრულების შემდგომ მოვხსნათ ფილტრები, გავრეცხოთ რესპირატორი გრილი საპნიანი წყლით, გავავლოთ გამდინარე წყალში და კარგად გავამშრალოთ.

<u>**ყურადღება: დაუშვებელია ერთი რესპირატორი (გაწმენდისა და გარეცხვის გარეშე) გამოყენებული იქნას რამოდენიმე (ერთზე მეტი) ადამიანის მიერ.**</u>

10. ფეხის დაცვა

ფეხის დამცავი სპეც ფეხსაცმელები უნდა აკმაყოფილებდეს EN-ISO-20345 სტანდარტის მოტხოვნებს. კერძოდ:

- დაცვა თითებზე;
- დაცვა ფეხის გულებზე;
- დაცვა კოჭებზე;
- ძნელად ასრიალებადი;
- ანტი ვიბრაციული;

ცხელი სამუშაოების შესრულებისას გამოყენებული უნდა იყოს ტემპერატურა მედეგი სპეც ფეხსაცმელი.

სპეც ფეხსაცმელი უნდა გაიწმინდოს სამუშაოს დასრულებისას. ხოლო მისი შეცვლა უნდა მოხდეს დაზიანების შემთხვევაში

11. მთლიანი სხეულის დაცვა

სპეც ტანსაცმელი შერჩეული და გამოყენებული უნდა იყოს სამუშაოს სპეციფიკიდან გამომდინარე. კომპანიაში არსებული სამუშაო პროცესების გათვალისწინებით სპეც ტანსაცმელი შესაძლოა დავყოთ შემდეგ კატეგორიებად.

- საერთო მოხმარების სპეც ტანსაცმელი;
- სპეც მაისური
- სპეც ტანსაცმელი შედუღებისა და ცხელი ჭრისათვის
- ტემპერატურა მედეგი მთლიანი სხეულის სპეც ტანსაცმელი უკიდურესად მაღალი ტემპერატურის ზემოქმედების პრევენციისათვის
- სპეც ხალათი და წინსაფარი ლაბორატორიის თანამშრომლებისათვის

მოთხოვნები საერთო მოხმარების მაღალი გარჩევადობის სპეც ტანსაცმელისა და მაისურის მიმართ:

საერთო მოხმარების სპეც. ტანსაცმელი და მაისური სავალდებულოა აკმაყოფილებდეს ISO 20471 მაღალი გარჩევადობის მე-3კლასის მოთხოვნებს.

მაღალი გარჩევადობის მე-3 კლასის სპეც ტანსაცმელის მოთხოვნები შეგიძლიათ იხილოთ არსებულ ბმულზე

https://www.wiseworksafe.com/blog/view/understanding-en-iso-20471-high-visibility-clothing-formerly-en471-

სპეც ტანსაცმელი შერჩეული უნდა იყოს სეზონურად (ზამთარი/ზაფხული) ხოლო მისი შეცვლა უნდა მოხდეს დაზიანების შემთხვევაში.

მაღალი გარჩევადობის **ISO 20471** კლასი 3-ის სპეც ტანსაცმელი და მაისური სავალდებულოა კომპანიის თანამშრომლებისათვის, მუდმივი კონტრაქტორი ორგანიზაციებისათვის, ასევე იმ დროებითი კონტრაქტორი ორგანიზაციებისათვის რომლებიც ახორციელებენ სამონტაჟო, სამშენებლო ან სხვა სახის საქმიანობას კომპანიის ტერიტორიაზე.

მაღალი გარჩევადობის შუქამრეკლი ჟილეტი დასაშვებია ეცვეს მხოლოდ სტუმარს, კლიენტს, რომელიც შემოდის კომპანიის სამუშაო ობიექტზე პროდუქციის შესყიდვა ან მოწოდების მიზნით ან სხვა კონტრაქტორი ორგანიზაციის წარმომადგენელს, რომელიც შედგის ტერიტორიაზე ლიმიტირებული დროით და რომელიც არ ითვალისწინებს გარკვეული სამუშაოების შესრულებას გარდა გაზომვა, შემოწმება დაკვირვებისა.

საამქროები სადაც განთავსებულია მოძრავი მექანიზმები და მოწყობილობები, სპეც ტანსაცმელი უნდა იყოს მჭიდროდ შეკრული. დაუშვებელია საამქროებში ხალათით, კაბით, გახსნილი ჟილეტით და ა.შ. შესვლა გადაადგილება ან რაიმე სახის სამუშაოს წარმოება.

სპეც ტანსაცმელი შედუღება/ცხელი ჭრისას

ცხელი სამუშაოების (ელექტრო/აირ შედუღება და ჭრა) წარმართვისას კომპანიის თანამშრომლებისათვის სავალდებულოა შესაბამისი სპეც ტანსაცაცმელის გამოყენება, რომელიც აკმაყოფილებს EN-ISO-11611, EN-ISO-11612, EN-ISO-14116 სტანდარტების მოთხოვნებს.

ინდ. დაცვა მაღალი ტემპერატურის ზეგავლენის პრევენციისათვის

ინფრაწითელი რადიაციული თბო გამოსხივების ზეგავლენის პრევენციისათვის გამოყენებული უნდა იყოს შესაბამისი თერმული ინდ დაცვის საშუალება, რომელიც უნდა აკმაყოფილებს EN-ISO-11612:15, IN-1149, EN 13034:05, EN-ISO-13688:13-ის სტანდარტის მოთხოვნებს.

სამუშაო ობიექტის მენეჯმენტი ვალდებულია განსაზღვროს საქმიანობა სადაც სავალდებულოა თერმული ინდ დაცვის გამოყენება.

სპეც ხალათები და წინსაფრები.

ცემენტის ქარხნების ლაბორატორიაში გამოყენებული უნდა იყოს შესაბამისი ანტისტატიკური მასალისაგან დამზადებული ხალათები. იმ შემთხვევაში თუ თანამშრომელს შეხება უწევს მავნე ქიმიურ ნივთიერებებთან გამოყენებული უნდა იყოს სპეც წინსაფარი, რომელიც უზრუნველყობს ქიმიური ხსნარების ზემოქმედების პრევენციას.

სპეც ტანსაცმელის შეცვლა უნდა მოხდეს დაზიანების შემთხვევაში.

12. ვარდნისაგან დამცავი საშუალებები

არსებული პროცედურა ადგენს მინიმალურ აღჭურვილობას ვარდნის პრევენციისათვის. კერძოდ:

- უსაფრთხოების ამოსაცმელი ქამრები;
- დამზღვევი ბაგირები ამორტიზატორით
- კარაბინები.

კომპანიაში გამოიყენება მხოლოდ 5 წერტილიანი ამოსაცმელი ქამრები, რომლებიც უნდა აკმაყოფილებდეს მინიმუმ EN-361 ან მაქსიმუმ EN-358 სტანდარტემის მოთხოვნებს.

დამზღვევი ბაგირები სავალდებულოა იყოს ამორტიზატორითა და ორმაგი კაუჭით და აკმაყოფილებდეს EN-355 სტანდარტის მოთხოვნებს.

კარაბინები სავალდებულოა აღჭურვილი იყოს ხელით ჩამკეტი (მოსაჭერი) მექანიზმით და ის უნდა აკმაყოფილებდეს EN-355 სტანდარტის მოთხოვნებს.

ამოსაცმელი ქამრები EN-358, EN-361



დამზღვევი ბაგირი ამორტიზატორითა და ორმაგი კაუჭით	კარაბინი ჩამკეტი მექანიზმით

სიმაღაღლეზე მუშაობისათვის განკუთვნილი დაცვის საშუალებები უნდა შეიცვალოს დაზიანების შემთხვევაში ან მწარმოებლის მიერ მითითებულ ვადებში. ბაგირი ამორტიზატორით კი უნდა შეიცვალოს როგორც ზემოთ მოყვანილი გარემოებების გათვალიწინებით ასევე ამორტიზატორის გახსნის შემდგომ.

13. სმენის დაცვა

მომეტებული ხმაურის ადგილზე, სმენის დაცვისათვის კომპანიაში გამოიყენება ერთჯერადი გამოყენების ყურსაცავები და ე.წ. Air muff-ები. ადგილები სადაც ხმაურის დონე მერყეობს 80 დან 105დბ-მდე სავალდებულო ყურსაცავების გამოყენება. იმ შემთხვევაში თუ ხმაურის დონე აღემატება 105დბ-ს ესეთ შემტხვევაში ყურსაცავებთან ერთად გამოყენებული უნდა ოყოს ე.წ. Air muff-ები.

სმენის დაცვის საშუალებები უნდა აკმაყოფილებდეს EN-352-1 და EN-352-2 სტანდარტის მოთხოვნებს.

ერთჯერადი გამოყენების ყურსაცავები უნდა შეიცვალოს გამოყენების შემდგომ, ხოლო Ear Muff-ები მწარმოებლის მიერ რეკომენდირებულ ვადებში ან დაზიანების შემთხვევაში.

14. ინდივიდუალური დაცვის საშუალებების შესყიდვა

კომპანია ჰაიდელბერგცემენტის შესყიდვების დეპარტამენტი წელიწადში ორჯერ, ფასთა გამოკითხვის შედეგად ახორციელებს შემდეგი სახის ინდივიდუალური დაცვის საშუალებების შესყიდვას:

- სპეც ფეხსაცმელი;
- სპეც ტანსაცმელი;
- შემდუღებლის სპეც ფეხსაცმელი
- შემდუღებლის სპეც ტანსაცმელი;
- ლაბორატორიის ტანამშრომლების სპეც ტანსაცმელი

ზამთრის ინდ. დაცვის შესყიდვის მიზნით ფასთა გამოკითხვისა და კონტრაქტირების პროცესი სავალდებულოა დასრულდეს ყოველი კალენდარული წლის სექტემბრის თვის 10 რიცხვამდე, ხოლო ზაფხულის ინდ. დაცვის შესყიდვის მიზნით პროცესი უნდა დასრულდეს ყოველი კალენდარული წლის თებერვლის ბოლომდე.

15. პასუხისმგებლობები

- კომპანიის ყველა თანამშრომელი, კონტრაქტორი თუ ვიზიტორი ვალდებულია გამოიყენოს სავალდებულო ინდივიდუალური დაცვის საშუალებები
- კომპანიის ყველა თანამშრომელი და კონტრაქტორი ვალდებულია გამოიყენოს სამუშაო სპეციფიკით გათვალისწინებული ინდ დაცვის საშუალებები
- პასუხისმგებელი პირები (საამქროს უფროსები, ცვლის უფროსები და სუპერვაიზერები) ვალდებულნი არიან დარწმუნდნენ, რომ მათ დაქვემდებარებაში

მყოფ თანამშრომლებს აქვთ და იყენებენ როგორც სავალდებულო ასევე სამუშაო სპეციფიკით გათვალისწინებულ ინდ დაცვის საშუალებებს

- პროექტის მენეჯერები ვალდებულნი არიან დარწმუნდნენ, რომ მათი პასუხისმგებლობის ქვეშ მიმდინარე სამუშაოებზე ყველა პიროვნებას გააჩნია და იყენებს შესაბამის ინდ დაცვის საშუალებას
- პასუხისმგებელი პირები ვალდებულნი არიან უზრუნველყონ მათთან სტუმრად მყოფი პირების აღჭურვა შესაბამისი ინდ დაცვის საშუალებებით
- შესყიდვების დეპარტამენტი ან სხვა დაინტერესებული მხარე ვალდებულია გააცნოს კონტრაქტორ ორგანიზაციას ინდივიდუალურ დაცვის საშუალებებთან დაკავშირებული რეგულაციები და გაითვალისწინოს არსებული რეგულაციები როგორც სავალდებულო ნორმა ფასთა გამოკითხვისას ან ტენდერისას.

ინდ დაცვის არ გამოყენებაზე გათვალისწინებული დისციპლინარული სანქციები ასახულია პროცედურაში „დარღვევები და დისციპლინარული სანქციები“

შენიშვნა: ორგანიზაციაში შრომის უსაფრთხოების მაღალი კულტურის მიღწევისათვის, იმ ხელმძღვანელი პირების მიმართ, რომლებიც არ მიიღებენ შესაბამის რეაგირებას ინდ. დაცვის სავალდებულო წესების დარღვევისას გამოყენებული იქნება შესაბამისი დისციპლინარული სანქცია რაც გათვალისწინებულია პროცედურით „დარღვევები და დისციპლინარული სანქციები